

გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება #CMB -ის  
დანართი - კომერციული პირობები

, საქართველო,

[წელი] წლის [რიცხვი, თვე]

**1. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:**

**1.1. ბანკი:**

1.1.1.	საფირმო სახელწოდება:	სს "ლიბერთი ბანკი"
1.1.2.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	203828304
1.1.3.	წარმომადგენელი:	[მითითოს წარმომადგენლის სახელი და გვარი ან ჩანაწერი - "ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენელი"]

**1.2. კლიენტი:**

1.2.1.	სახელი და გვარი/საფირმო სახელწოდება:	
1.2.2.	პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
1.2.3.	წარმომადგენლის სახელი და გვარი:	
1.2.4.	პირადი ნომერი:	
1.2.5.	წარმომადგენლის თანამდებობა/სტატუსი:	

**2. საკრედიტო პროდუქტის გაცემის ზოგადი წინაპირობები**

**2.1. ბანკი განიხილავს საკრედიტო პროდუქტის გაცემის შესაძლებლობას თუ კლიენტი წარუდგენს ბანკს:**

2.1.1. ინფორმაციას კლიენტის ყველა შესასრულებელი ან/და პირობითი ვალდებულების შესახებ (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ვალდებულებების შესახებ, კრედიტის თანხის, ვადის და საპროცენტო განაკვეთის მითითებით, ასევე ინფორმაციას საბანკო გარანტიების, აკრედიტივების, ფაქტორინგის და ა.შ. შესახებ) და მონაცემებს კლიენტის ქონებაზე/აქტივებზე არსებული შეზღუდვის/აკრძალვის/ვალდებულებების შესახებ.

2.1.2. ბანკის მიერ მოთხოვნილ სრულ ანგარიშს/რეპორტს (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად სრულ ფინანსურ ანგარიშგებას).

2.1.3. ბანკის მიერ კრედიტის გაცემის მიზნით კლიენტისაგან მოთხოვნილ ნებისმიერი სხვა დოკუმენტს/ინფორმაციას.

**3. ფინანსური ვალდებულებები**

**3.1. კლიენტი ვალდებულია:**

3.1.1. არ აიღოს რაიმე დამატებითი საბალანსო ან გარესაბალანსო კრედიტები, სესხები ან/და მსგავსი ვალდებულებები;

3.1.2. ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ნებისმიერი 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის განმავლობაში არ განახორციელოს ინვესტიციები, დაიკისროს რაიმე ვალდებულებები ან/და გაწიოს ხარჯები, მათ შორის კაპიტალური დანახარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ინვესტიციების, ან/და ხარჯების გაწევა ან/და ვალდებულებების აღება შეესაბამება ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტის (ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა საბანკო პროდუქტების) მიზნობრიობას, ან/და გახორციელებულია კლიენტის ჩვეული საქმიანობის ფარგლებში;

3.1.3. ნებისმიერი კალენდარული წლის განმავლობაში არ გასცეს დივიდენდები, თუ გენერალური საკრედიტო ხაზის მოცულობა აღემატება 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს.

3.1.4. საბუღალტრო აღრიცხვა აწარმოოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით;

3.1.5. უზრუნველყოს მისი ფულადი სახსრების ბრუნვა იმგვარად, რომ მნიშვნელოვანი საფრთხე არ შეექმნას მისი ფინანსური პროფილის სიჯანსაღეს, კლიენტის საქმიანობას და ეჭვქვეშ არ დადგეს კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვან შესრულება;

**4. შეზღუდვები და აკრძალვები**

4.1. კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, დროის ნებისმიერ მონაკვეთში:

4.1.1. არ განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მის საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივების 5%-ზე მეტის განკარგვა (მათ შორის გასხვისება, გირავნობით/იპოთეკით დატვირთვა, იჯარით/ქირავნობით გაცემა და ა.შ.).

4.1.2. უზრუნველყოს, რომ მისი ქონება/აქტივები არ დაიტვირთოს გირავნობით/იპოთეკით ან/და ნებისმიერი სხვა ვალდებულებით ან/და ქონებაზე/აქტივებზე არ გავრცელდეს შეზღუდვა/აკრძალვა/ყადაღა.

4.1.3. მიმართოს მის ხელთ არსებულ მაქსიმალურ ძალისხმევას, რომ არ დაუშვას უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის ან/და თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმართ სახელმწიფო, ადგილობრივი ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება ან/და ღონისძიების გამოყენება, რომელიც არსებითად გაართულებს ან/და შეუძლებელს გახდის თავდების ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ საკუთარი ქონების განკარგვას;

4.1.4. არ დაუშვას მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა ან მის მიმართ სასამართლო/საარბიტრაჟო წარმოების დაწყება, რითაც საფრთხე შეიძლება შეექმნას კლიენტის ქონებას ან/და საექვო გახდეს კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული ან/და ჯეროვანი შესრულება;

4.1.5. უზრუნველყოს, რომ სასამართლოს, არბიტრაჟის, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ან სახელმწიფოს ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და სხვა ფორმით უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის ან/და თავდების ნებისაგან დამოუკიდებლად საფრთხე არ დაემუქროს საკუთრების უფლებას უზრუნველყოფის საგანზე/ქონებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.1.6. უზრუნველყოს უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის ან/და თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ დაკავშირებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება;

4.1.7. თუ უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს ბანკის სასარგებლოდ ფინანსური გირავნობით დატვირთული მოთხოვნები, ასეთ მოთხოვნებთან დაკავშირებით: (ა) მხოლოდ ბანკთან წინასწარ წერილობით შეთანხმებული საკრედიტო ხელშეკრულებებით გასცეს სესხ(ებ); (ბ) ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ შეცვალოს, არ შეწყვიტოს/გააუქმოს მოთხოვნები ან/და არ თქვას მოთხოვნაზე/უფლებაზე უარი (ვალის პატიება);

4.1.8. უზრუნველყოს, რომ კლიენტის ფულადი ვალდებულებების ნაშთი ბანკის წინაშე არ იყოს უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის ჯამური ღირებულების 85%-ზე მეტი;

4.1.9. კლიენტის მსესხებლ(ებ)ის მიერ განხორციელებული ფულადი ვალდებულებების შესრულებები დაადასტუროს მხოლოდ ბანკთან შეთანხმებული სპეციალური ფორმით;

4.1.10. ფინანსური გირავნობის საგანთან დაკავშირებით კლიენტის ნებისმიერი მსესხებლის მიერ განხორციელებული გადახდიდან 1 (ერთი) საბანკო დღის ვადაში, ამ გადახდილი თანხის ოდენობით, შეამციროს საბანკო კრედიტი ან საბანკო კრედიტის უზრუნველყოფად ფინანსური გირავნობით დატვირთოს შესაბამისი ღირებულების საკრედიტო მოთხოვნები, რომლებიც მინიმუმ 100%-ით უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი ქონებით (ძვირფასეულობით).

4.1.11. არ დაუშვას მისი ძირითადი საქმიანობის სფეროს შეცვლა, რომელსაც ახორციელებს ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის;

4.1.12. არ განახორციელოს რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) ან ლიკვიდაცია ან/და ნებისმიერი სტრუქტურული ცვლილება;

4.1.13. არ შეიტანოს ცვლილება კლიენტის წესდებაში ან/და ნებისმიერ შიდა რეგულაციაში, მათ შორის არ განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არსებული კლიენტის გაცხადებული კაპიტალის შემცირება.

4.1.14. არ დაუშვას დამატებითი აქციების გამოშვება ან/და კლიენტის კაპიტალში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილება ან/და კლიენტის აქციების/წილის გასხვისება/განკარგვა/ნებისმიერი უფლებით/ვალდებულებით დატვირთვა.

## 5. დამატებითი პირობები

5.1. კლიენტი ვალდებულია დააზღვიოს ბანკის მოთხოვნით განსაზღვრულ სადაზღვევო შემთხვევები.

5.2. კლიენტი აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ბანკის თანამშრომელმა ან ბანკის მიერ განსაზღვრულმა პირმა განახორციელოს ბანკის სასარგებლოდ დაგირავებული მოთხოვნების უზრუნველყოფის საშუალებების (ძვირფასეულობის), ბანკის მიერ განსაზღვრული წესებით, პერიოდული და სრულფასოვანი, შეფასება, შემოწმება, დასურათება, შესაბამისი აქტის/დასკვნის შედგენა.

## 6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე დანართი მასში განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის ან/და დამატებ(ებ)ის ჩათვლით, წარმოადგენს გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში გენერალური საკრედიტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

## 7. მხარეთა ხელმოწერები

8. ბანკი

კლიენტი